

„დამტკიცებულია“
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2019 წლის 01 აგვისტოს № 01-03/32 ბრძანებით

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო
პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების
მეთოდოლოგია

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება შრომის ბაზრის - დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს ან/და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზს ან/და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზს/დასაქმების მაჩვენებლებს ან/და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. კვლევის ანალიზის შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი „უნივერსიტეტი“-ის რექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, სადაც დასაბუთებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროება.
2. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - „მოდულური პროგრამა“) - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
3. „მოდულური პროგრამა“-ის შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია: სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, პროფესიული კვალიფიკაციის დონე - ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, პროგრამის განხორციელების გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ და სხვა.
4. მოდული წარმოადგენს „მოდულური პროგრამა“-ის განუყოფელ ნაწილს, მტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით, ხოლო მოდულში ცვლილებების შეტანა ხორციელდება „უნივერსიტეტი“-ის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.
5. „მოდულური პროგრამა“-ის შემთხვევაში - დაწესებულების მიერ განსახორციელებელი პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.
6. მოდულური პროგრამის ადაპტირება/დანერგვისთვის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირები.

7. მოდულების სტანდარტულ ჩანაწერებში ცვლილებების განხორციელება შეუძლებელია, ხოლო დამხმარე ჩანაწერები არის სარეკომენდაციო ხასიათის და დაწესებულება უფლებამოსილია მოახდინოს მისი ცვლილებები საჭიროების შემთხვევაში (ლოგიკური დასაბუთებით). თუ სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზები „უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს შესაბამის ორგანოს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს) აცნობოს ამის შესახებ.
8. კალენდარულ გეგმას და შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს განმახორციელებელი პირი, რომელსაც განიხილავს და ვალიდურობის შემთხვევაში ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
9. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი საჭიროების შემთხვევაში:
 - ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე პროგრამაში/მოდულებში/სასწავლო კურსებში არსებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების მიზნით;
 - ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლის/მოდულის განმახორციელებელი პირის ცვლილების დროს;
 - გ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებული ცვლილების შემთხვევაში .
12. კორექტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლისა და გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

1. „მოდულური პროგრამა“-ის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის (შემდგომში - „სტუდენტი“) შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა გულისხმობს პროგრამის კომპონენტებში გარკვეული ცვლილებების შეტანას, რაც მიზნად ისახავს პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას კანონმდებლობის ახალ მოთხოვნებთან ან პროფესიული სტანდარტით დადგენილი კომპეტენციების ათვისების პროცესის გაუმჯობესებას.
3. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომლის მოცულობაც არ აღემატება 30 კრედიტს, დაწესებულება ვალდებულია დაასრულებინოს მას სწავლა იმ პროგრამით, რომლითაც დაიწყო;
4. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის შეცვლის დროისთვის დარჩენილი კრედიტების მოცულობა აღემატება 30 კრედიტს, დაწესებულება ვალდებულია დაასრულებინოს პროფესიულ სტუდენტს ის სასწავლო კომპონენტი/მოდული, რომლის შესწავლაც დაწყებულია და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიყვანოს პროფესიული სტუდენტი მოდიფიცირებულ/შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ინდივიდუალური გეგმით გააგრძელებინოს სწავლა ;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:
 - ა) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულება აფორმებს ხელშეკრულებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

გ) თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების პირობების შესრულება ვერ ხორციელდება, დაწესებულება ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

6. დაწესებულების მიერ ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში ხორციელდება მხოლოდ ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ღონისძიებები.

თავი II

პროფესიული სტუდენტი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა **მუხლი 3. პროფესიული სტუდენტი**

1. „უნივერსიტეტი“-ის პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც ჩარიცხულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად რექტორის ბრძანებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან რექტორის მიერ ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესის და თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის მოთხოვნათა დაცვით, რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე.

2. რექტორი ბრძანებით აცხადებს მიღებას კონკრეტულ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამებზე. ბრძანებით განისაზღვრება: პროგრამის ზუსტი დასახელება და საფეხური, ადგილების რაოდენობა, ჩარიცხვის პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, დოკუმენტების წარმოდგენის დაწყების და დასრულების თარიღები და სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი.

3. რეგისტრაციისათვის აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატი) დედანი ან სანოტარო წესით დამოწმებული ატესტატის ასლი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) 2 ფოტოსურათი 3X4-ზე, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

4. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიღების დამატებითი პირობაა ზეპირი გასაუბრება, რომელსაც წარმართავს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიის შემადგენლობა. კომისია შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს - ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

5. იმ შემთხვევაში თუ ჩარიცხვის სურვილის მქონე პირი/პირები ვერ მოხვდება/მოხვდებიან ჩასარიცხ კანდიდატთა სიაში, უფლება აქვთ ისარგებლონ მიღებული შედეგების აპელაციის უფლებით შედეგების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აპელაციის თაობაზე განცხადების წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედის შესაბამისი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ყველა პირი (გარდა გასაუბრების კომისიის შემადგენლობაში არსებული პირებისა).

7. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული დასკვნა რეკომენდაციის სახით გადაეცემა უნივერსიტეტის რექტორს - ჩარიცხვის/ჩარიცხვაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

8. ჩარიცხვის/ჩარიცხვაზე უარის თქმის თაობაზე უნივერსიტეტის რექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აპლიკანტს ეცნობება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

9. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვაკანტურ ადგილებს აღემატება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მამიებელ პირთა რაოდენობა, უპირატესობა მიენიჭება იმ პირებს, რომლებმაც გასაუბრებაზე უკეთესი შედეგი აჩვენეს.

10. პროფესიულ სტუდენტთა კვოტის ფარგლებში, კვოტის შევსების მიზნით რექტორის ბრძანებით შეიძლება გაგრძელდეს მიღება განსაზღვრული ვადით.

11. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) პირადი ან/და კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება;
- ბ) კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადაში საჭირო კრედიტების აუთვისებლობა;
- გ) რექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება „უნივერსიტეტი“-ის ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის ნორმების საფუძველზე.
- დ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
- ე) უცხოეთში სწავლის გაგრძელება, სასწავლო პროგრამის დოკუმენტურად დადასტურებული ვადით;
- ვ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
- ზ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (დოკუმენტურად დადასტურებული);
- თ) ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობა, ორსულობა და ახალშობილის მოვლა (დოკუმენტურად დადასტურებული);
- ი) ობიექტური გარემოების არსებობა, რომელიც პროფესიულ სტუდენტს ხელს უშლის სწავლის გაგრძელებაში.

3. სტატუსის შეჩერების პერიოდში დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება ან დამატებითი პირობების დაწესება აღდგენისათვის.

4. პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი აქვს შეჩერებული, თუ მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან სამ სამუშაო დღეში.

5. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 2 წლის ვადით. ამ ვადაში სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

6. სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრლი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან, საიდანაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი ან/და კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

გ) სტატუსის შეჩერებიდან 2 წლის გასვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა,

ე) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა;

ვ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

ზ) უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის ნორმების უხეში დარღვევა;

თ) გარდაცვალება.

2. პირს, რომელსაც შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 8. მობილობა

1. სხვა პროფესიული დაწესებულებიდან გადმოსვლის შემთხვევაში, მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების უფლება აქვს პროფესიულ სტუდენტს, რომლის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით ითვლება ავტორიზებულად; ან იმ უცხო ქვეყნის/ოკუპირებული ტერიტორიის პროფესიულ სტუდენტს, რომლის პროგრამა და შედეგები აღიარებული იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

2. დაწესებულებაში/დაწესებულებიდან მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);

ბ) თუ სხვა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა ამ დაწესებულებაში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. გადასვლა/გადმოსვლის მსურველთათვის მობილობა შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

3. „უნივერსიტეტი“-ში გადმოსვლის/შიდა მობილობის მსურველმა დაწესებულებას უნდა მიმართოს წერილობითი განცხადებით, შემდეგ თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად:

ა) პირადი საქმე;

ბ) ცნობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული ან აღიარებული კრედიტების შესახებ ან სტუდენტის ბარათი დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით.

4. მობილობის განხორციელებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ვალდებულია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან, ასევე, ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების/სწავლის შედეგების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე, რასაც მოხსენებითი ბარათის სახით წარუდგენს რექტორს.

5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში.

მუხლი 9. მიღებული განათლების აღიარება

1. საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების/უცხო ქვეყნის/ოკუპირებული ტერიტორიის პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების ჩათვლა ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

2. თუ პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის/მოდულის სახელწოდება მცირედით განსხვავდება დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისაგან/მოდულისაგან, თუმცა სწავლის შედეგებით/შინაარსობრივად იდენტური ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება აღიარებულ იქნას დაწესებულების მიერ.

3. თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის/მოდულის კრედიტები იდენტურია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა/მოდულისა, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.

4. თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის/მოდულის კრედიტები მეტია ვიდრე დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა/მოდულების, კრედიტები აღიარებული იქნება დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

5. მოდულური პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება მოხდება გავლილი მოდულების ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 10. არაფორმალური განათლების აღიარება

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურის ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.

2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.

3. არაფორმალური განათლების აღიარებისასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგულირდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 11. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა

1. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსს და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე და ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს სწავლის შედეგებს;

ბ) მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავდება მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

დ) პირი, რომელიც დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

ე) პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე.

2. პირველ (ა) შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული მასწავლებელი მიმართავს ადმინისტრაციას და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების რექტორს.

3. მეორე (ბ,ე) შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში.

4. მესამე (გ) შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას - სასწავლო/გამოცდის ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუსადგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობების დაცვით.

5. მეოთხე (დ) შემთხვევაში ტარდება პროფესიულ სტუდენტთან საჭიროების შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/დამატებითი მეცადინეობები, სასწავლო კურსების/მოდულების თემატიკის შედეგების დამლევის და სწავლის შედეგების მიღწევის გათვალისწინებით.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება საგნობრივი პროგრამისათვის

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

5. შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მოთხოვნის საფუძველზე საშუალება ეძლევა გავიდეს დამატებით შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე.

6. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ძირითადი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღეში.

7. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება საბოლოოა და მისი გადაბარება დაუშვებელია.

8. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაგროვილი აქვს მინიმუმ 21 ქულა.

9. შეფასების კრიტერიუმები ცალკეული სასწავლო კომპონენტისათვის შედგენილია ინდივიდუალურად, მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად და დეტალურად გაწერილია სილაბუსებში.

10. გამოცდის ჩატარების ფორმა და შეფასებები განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსებით.

11. თეორიული და პრაქტიკის კომპონენტის სასწავლო კურსების შეფასება ფორმდება რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების უწყისებით და ინახება დაწესებულებაში უვადოდ.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოდულური პროგრამების შემთხვევაში

1. კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

2. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

- ბ) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
3. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
- 3.1. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- 3.2. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაადასტუროს სწავლის შედეგი პროგრამის დასრულებამდე, ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დაადასტურა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე ორჯერ, შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს ეს მოდული/სწავლის შედეგი.
5. წერილობითი განცხადების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის შედეგ(ებ)ის განმეორებით დადასტურებაზე დაშვების შესახებ.
6. თუ პროფესიული სტუდენტი ვერ გამოცხადდა შედეგის დადასტურებაზე, მას უფლება აქვს მიმართოს „უნივერსიტეტი“-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება.
7. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და კრიტერიუმის მიხედვით;
8. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.
9. მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
10. მტკიცებულებები უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.
11. მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე/პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე/სტატუსის შეწყვეტამდე/მოხილობით სხვა დაწესებულებაში გადასვლამდე .
12. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ.

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში, შედეგის/შედეგების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიულ მასწავლებლებთან.

3. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად.

მუხლი 15. კვალიფიკაციის მინიჭების კრიტერიუმები

1. კვალიფიკაცია ენიჭება პროფესიული სტუდენტს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დაძლევის შემთხვევაში.

2. სწავლის შედეგების დაძლევის დადასტურებასა და კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 16. კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული კვალიფიკაცია – პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით;

2. ფაკულტეტის საბჭო შეისწავლის თითოეული პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს, მიღებულ შეფასებებს, და ადგენს სწავლის შედეგების დადასტურების საკითხს.

3. მოდულური პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებულ უნდა იქნას მოდულებით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი.

4. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი დიპლომის გაცემის თობაზე.

5. რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე დაწესებულება ამზადებს და გასცემს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომს, რომლის ნიმუშიც დამზადებულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების და პროცედურების დაცვით და შეთანხმებულია შესაბამის ორგანოებთან. კვალიფიკაციის დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომს ხელს აწერს რექტორი.

8. პროფესიული დიპლომის აღრიცხვის წესი განსაზღვრულია დაწესებულების საქმისწარმოების ერთიანი წესით.

თავი III

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვა

მუხლი 17. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შენობაში გადაადგილების თავისებურებები

1. შეზღუდული შესაძლებლობების (გადაადგილების, მოტორული, მეტყველებისა და სხვა დარღვევათა) მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:

ა) დაწესებულების შენობაში შეღწევის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით;

ბ) დაცვის თანამშრომლის გამოყოფას კონსულტაციისა და დახმარებისათვის, ასევე შეუფერხებელი გადაადგილებისათვის დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე.

გ) ადმინისტრაციის თანამშრომლის მიმაგრებას, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კომუნიკაცია-კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან.

დ) ბიბლიოთეკის საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს მისთვის სასურველი ლიტერატურის სასწავლო აუდიტორიაში მიტანას.

თავი IV

მუხლი 18. კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. უნივერსიტეტი“- ს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საკუთრებაში აქვს შენობა-ნაგებობა;
2. უნივერსიტეტი“-ში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო: A, B და C.
 - 2.1. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეში იქნას განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და B, ან B და C, ან A და C გარემო.
 - 2.2. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით და საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით;
 - 2.3. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია. მერხების განლაგებით კედლების გასწვრივ ან „სასკოლო ტიპი“-ის განლაგებით, რომელიც აღჭურვილია პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერებით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების საშუალებით;
 - 2.4. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.
3. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პროგრამების უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, სპეციალიზებულ სახელოსნოებში, ღია სივრცეში. შესაბამისად, A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია საშუალოდ 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ოთხმაგი რაოდენობა.
5. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტის წლიური 60 კრედიტიდან(ინფორმაციული წიგნიერების მოდულზე) ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს. შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ორმოცმაგი რაოდენობა. აღნიშნულ გარემოში მოდულის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხორციელდება სხვა მოდულებიც.
6. პრაქტიკული მოდულები ითვალისწინებენ პროფესიული სტუდენტის დატვირთვის პრაქტიკის ობიექტზე, რეალურ სამუშაო გარემოში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტებთან შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები.
7. 20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ ერთი პროგრამის განმახორციელებელი პირი.
8. კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის შესაბამისად ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 19. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შექმნა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა

1. მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, ადმინისტრაციის უფროსი რექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას მოდულის დაწყებამდე.
2. თუ მოდულის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე „უნივერსიტეტი“ მასალებისა და ნედლეულის შექმნას იმ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს.
3. მასალებისა და ნედლეულის შექმნისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ხარისხი/ვადა გამოყენების მომენტისათვის.
4. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შესაბამის ინსტრუქციებში მითითებული შენახვის წესების დაცვით;
5. სასწავლო წლის დასრულებისას ბუღალტრის მიერ, შესაბამისი პირების ჩართულობით, ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

მუხლი 20. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების

უტილიზაცია

1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია ხორციელდება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემომყოფ პირებს.
2. „უნივერსიტეტი“-ის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება ხდება სასწავლო სივრცეში სანაგვე კონტეინერებში.
 - ა) სახიფათო ნარჩენები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დროებით ინახება „უნივერსიტეტი“-ის ტერიტორიაზე და შემდეგ ხდება წესების დაცვით უტილიზაცია.
 - ბ) უსაფრთხო ნარჩენები შეიძლება ჩაიყაროს მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში.
3. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულებას.

მუხლი 21. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი

1. კონკრეტულ მოდულურ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი შეირჩევა უნივერსიტეტში დასაქმების თაობაზე შემოსული განცხადებების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს მისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილ დოკუმენტებს შემდგომში განიხილავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად. შემუშავებული რეკომენდაციები გადაეცემა უნივერსიტეტის რექტორს ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.
2. გარდა 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია კონკრეტული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ან/და განმახორციელებელი პირის/პირების რეკომენდაციის საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე პიროვნება.
3. შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისათვის კანდიდატს უნდა ჰქონდეს:
 - შესაბამისი უმაღლესი განათლება ან/და მასწავლებლის სერტიფიკატი შესაბამის საგანში;
 - პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია);
 - საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობისა და პროექტების მართვის გამოცდილება (სასურველია);

- საგნის საფუძვლიანი ცოდნა;
- სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- დაკავებული პოზიციის შესაბამისი საკონონმდებლო ბაზის ცოდნა.

პიროვნული მახასიათებლები:

- მაღალი მოტივაცია;
- ლიდერის თვისებები და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- გამართულად მეტყველებისა და აზრის თავისუფლად გადმოცემის უნარი;
- არაკონფლიქტურობა და გაწონასწორებულობა.

4. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი უნივერსიტეტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს თავის უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 22. დამატებითი დებულებები

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო ფართის ან მისამართის ცვლილების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე 30 კალენდარული დღით ადრე აღნიშნულის შესახებ, გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა, რა დროსაც დაწესებულება ვალდებულია შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყების შესახებ ცენტრს აცნობოს დაუყოვნებლივ და წარუდგინოს ფართის მართლობიერი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთო რაოდენობის ცვლილებამ მიაღწია 10%-ს, „უნივერსიტეტი“ ვალდებულია ცვლილებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ცენტრს აღნიშნულის შესახებ.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ცვლილების შემთხვევაში „უნივერსიტეტი“ ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე ცვლილებების განხორციელების შესახებ გამოცემული აქტი.

4. საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებებით, და უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიხედვით.